საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის

კოდექსებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., №12, მუხ. 421) 174^1 და 174^2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174^1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა
შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოცდაათ მინიმალური ოდენობამდე.
იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ, -
გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოციდან ას მინიმალური ოდენობამდე.
მუხლი 174^2. შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე“.
II. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, №1, მუხ. 10) 220^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 220^1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ, თუ ამ დარღვევას მძიმე შედეგი მოჰყვა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე, ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების ასიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე“.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,

1997 წლის 24 ივნისი

N785-IIს